

დავით ჯიჟარიანი

ნა ვიზით და ჩოგონ ვსნავლობთ კონფლიქტებს

მშვიდობისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი



თბილისი 2017 წელი

კვლევა მომზადებულია შვეიცარიული საერთაშორისო ორგანიზაცია „HEKS/EPER“- ის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ახალგაზრდები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში“-ს ფარგლებში, რომელიც ხორციელდება მშვიდობისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის, საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარუს“, აზერბაიჯანელ ქალთა ასოციაციისა და სომხურ ორგანიზაცია „სიუნიკის“ მიერ. პროექტი მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში მდგარი მშვიდობის მშენებლობის ხელშეწყობას.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და იგი არ გამოხატავს დონორი ორგანიზაციის პოზიციას

დოკუმენტის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას ვუხდით: ლალი დევიძეს, მედეა ტურაშვილს და ნანა კალანდარიშვილს.

The research is prepared in the frames of the project “Youth for Peace in the South Caucasus” financed by Swiss international organization HEKS-EPER, implemented by Peace and Civil Development Center, Charity Foundation “Lazarus” of the Patriarchate of Georgia, Union of Azerbaijani Women of Georgia and Armenian Organization “Syunik”. The goal of the project is to promote peace-building process in the South Caucasus.

The views set out in this publication are those of the author and do not necessarily reflect the position of donor organization.

We express our gratitude to Lali Devidze, Medea Turashvili and Nana Kalandarishvili for their contribution in the process of preparation of the document.

აპტორი: დავით ჯიშკარიანი

რედაქტორები: როდამ ცომაია, ელიკო ბენდელიანი

თარგმანი: ნინო კობახიძე

დიზაინი: ციცი ზაკალაშვილი

AUTHOR: David Jishkariani

EDITORS: Rodam Tsomaia, Eliko Bendeliani

TRANSLATION: Nini Kobakhidze

DESIGN: Tsitsi Zakalashvili



David Jishkariani

**WHAT WE KNOW AND WHAT WE
LEARN
ABOUT CONFLICTS**
**Center for Peace
and Civic Development**



Tbilisi 2017

შინაარსი

წინასაბუთო	5
შესავალი	6
ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები	8
უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და კონფლიქტების სწავლება	14
არასამთავრობო სექტორი და მედია	19
შეჯამება	22
Foreword	23
Introduction	24
School history textbooks	25
Higher Educational Institutions and Conflict Studies	30
Non-Governmental Sector and Media	33
Summary	36

რა ვიცი და რას ვსწავლობთ კონფლიქტების შესახებ?

დავით ჯიშკარიანი - ისტორიკოსი

წინასიტყვა

საქართველოს სახელმწიფო აღიარებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მისი განუყოფელი ნაწილებია. ეს ასახულია როგორც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში, ასევე, ყველა სამართლებრივ აქტში, რომელიც მათ სტატუსს ეხება. სახელმწიფო, ასევე, აქტიურად მუშაობს მათი არაღიარების პოლიტიკაზე. ცდილობს სხვადასხვა ჰუმანიტარული პოლიტიკის გატარებას. ამ პოლიტიკის მიღმა არის ლეგიტიმური შეკითხვა – რა იცის საქართველოს საზოგადოებამ კონფლიქტური რეგიონების შესახებ? როგორ ხდება მათი სწავლება?

კონფლიქტების საომარი ფაზის დასრულებიდან ორ ათწლეულზე მეტია გასული. ეს ის დროა, რომლის განმავლობაში სრულიად ახალი თაობა გაიზარდა, რომელთა განათლება, ინფორმაციული ცოდნა და ანალიზის შესაძლებლობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია სწავლების შინაარსი და დონე საქართველოში.

განათლების სისტემაში არსებული კრიზისი აისახა კონფლიქტების შესწავლის პროცესზე. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები დამოკიდებულია სისტემაში არსებულ ხარვეზებთან. ისინი არ შეიძლება განყენებულად აღვიქვათ და გავაანალიზოთ. სამეცნიერო ინსტიტუტების არაეფექტური საქმიანობა, ლარიზი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არასტაბილური დაფინანსების წყაროები, სასკოლო განათლების პრობლემები, მეცნიერული აზრის კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქ-

ტურების მხრიდან აისახება კონფლიქტების შესწავლის ხარისხზე.

მცირე ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, აღნიშნულ კვლევაში დეტალურად ვერ გააანალიზდა, თუ როგორ ასწავლიდნენ უშუალოდ პროფესორ-მასწავლებლები კონფლიქტებს. კვლევის ჩატარებისას, ასევე, გართულდა სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების მოძიებაც, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, უფრო დეტალურად განგვეხილა სწავლების თავისებურებანი. ამასთან, ჩვენ გვიჭირს იმის თქმა, თუ რამდენად განიხილება სილაბუსში/სასწავლო გეგმაში მოცემული საკითხები აუდიტორიაში. აღნიშნული პრობლემები იმაზე მიუთითებს, რომ მსგავსი ტიპის კვლევა მომავალში აუცილებლად უნდა წარიმართოს.

შესავალი

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2017 წლის 26 ივლისს გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პრობლემათა შორის მესამე ადგილს კონფლიქტები იკავებს, კერძოდ, იგი ამ პრობლემათა 30 %-ს შეადგენს. ის მხოლოდ უმუშევროვნობასა და სიღარიბეს ჩამორჩება.¹ აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების ჩამონათვალი 2009 წლის შემდეგ არ შეცვლილა.² ინტერესის პარალელურად ისმება ლეგიტიმური შეკითხვა: რა იცის მოსახლეობამ კონფლიქტის შესახებ და რომელი ფაქტორები მოქმედებენ ინფორმაციული ველის ფორმირებაში?

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ კონფლიქტების სწავლების თავისებურებებს საქართველოში. საამისოდ შეირჩა სამი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს იდეებისა და ხედვების

¹ NDI: ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები კვლავ სიღარიბე და სამუშაო ადგილებია. 26/07/2017. <http://www.tabula.ge/ge/story/122341-ndi-kvelaze-mnishvnelovani-erovnuli-sakitxebi-kvlav-sigharibe-da-samushao-adgilebia>

² https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20poll_june%202017_ISSUES_GEO-V.pdf

ფორმირებაზე. ამასთან, განაპირობებს საზოგადოების ცნობიერების დამოკიდებულებას წარსულთან და განსაზღვრავს მომავლის ხედვას.

- 1) სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოებში მოსწავლეები პირველად³ ეცნობიან ოფიციალურ ისტორიას საქართველოში კონფლიქტების დაწყებისა და გენეზის შესახებ. ეს არის სივრცე, სადაც მათ უყალიბდებათ პირველადი ხედვა ამ საკითხის შესახებ. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, როგორაა წარმოდგენილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული⁴ კონფლიქტები და როგორ ისწავლება ის ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მიხედვით დამტკიცებულ სკოლის სახელმძღვანელოებში.
- 2) განათლების შემდეგ საფეხურზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, ისწავლება საგნები, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულად ეხება საქართველოს კონფლიქტებს. მათი თემატური და შინაარსობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს შემდგომში ამ სფეროში მომუშავე ბიუროკრატების, სპეციალისტებისა და ანალიტიკოსების კომპეტენციას. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რომელი თემებია ე.წ. „თეთრი ლაქები“, რომლებიც მეტ ყურადღებას საჭიროებს.
- 3) კონფლიქტის შესწავლისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია. აღნიშნულ საკითხზე ისინი ყველაზე ბევრს და ხანგრძლივად მუშაობენ. მათი წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც კონფლიქტების ანალიზის, ასევე, კონფლიქტის მხარეებთან დისკუსიებსა და შეხვედრებში. ისმის კითხვები: რა თემებზე არიან ისინი კონცენტრირებულნი და რა ტიპის ცოდნის გენერირებას ახდენენ? რა არის მათი ძირითადი გამოწვევა?

³ უფრო ადრე მოსწავლე კონფლიქტის შესახებ ინფორმაციას იღებს ოჯახში, თუმცა, ეს ოჯახის სტრუქტურასა და მენსიერების კულტურაზეა დამოკიდებული. ტექსტში გამოყენებული სიტყვა „პირველში“ იგულისხმება „ოფიციალური ისტორია“, რომელსაც სახელმწიფო მოსწავლეს სთავაზობს.

⁴ მაია რაზმაძე, სასკოლო სახელმძღვანელოების რევიზია როგორ არის წარმოდგენილი საბჭოთა ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში, ოქტომბერი, 2017 (გამოუქვეყნებელი ნაშრომი).

ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები

ისტორია, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგანი, საგანათლებლო, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს. ისტორიის სახელმძღვანელოში თავმოყრილი მოვლენები და ფაქტები სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია. ის ერის ეროვნული თვითმყოფადობის, იდენტობის გამოხატვის აუცილებელი ელემენტია. სასკოლო სახელმძღვანელო ირეკლავს საზოგადოებაში არსებულ კულტურულ და ნორმატიულ ღირებულებათა სისტემას, სოციალურ ცვლილებებს, საზოგადოებაში არსებულ დიდ გამოწვევებს და იმ ნორმებს, რომლებიც სასურველია, გადაეცეს მომავალ თაობას. აქედან გამომდინარე, ისტორიის ნაციონალური კურიკულუმის შექმნა სახელმწიფოს უმთავრეს მიზნად იქცა. უშუალოდ საქართველოში სამხედრო კონფლიქტების დაწყებამდე განსაკუთრებულად ქართული, აფხაზური და ნაწილობრივ ოსური ისტორიოგრაფია ცდილობდა, გაეკონტროლირებინა ისტორიული ნარატივები. პოლიტიკური დისკურსი, ქვეყნის ზოგადი პოლიტიკა, საზოგადოებრივი განწყობა აისახა სკოლის სახელმძღვანელოებზეც. სახელწიფო სახელმძღვანელოს საშუალებით ცდილობს, საზოგადოებამდე მიიტანოს თავისი პოლიტიკური მიზნები და დაამკვიდროს ნორმები, რაც ფუნდამენტურად მიაჩნია მისი არსებობისა და ლეგიტიმაციისათვის.⁵

საქართველოს სახელმწიფოც თავად განსაზღვრავს სახელმძღვანელოების სტანდარტებს, მიზნებსა და პრინციპებს.⁶ 2008-2012 წლებში გამოცემულ, გრიფირებულ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში საქართველოში მომხდარი ეთნიკური კონფლიქტები ძირითადად აღქმულია, როგორც „იმპერიის პასუხი“ საქართველოს დამოუკიდებლობაზე. მაგალითად, მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის მე-12 კლას-

⁵ იქვე.

⁶ ნინო ჩიქოვანი, საკუთარი და მეზობლების სახე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში // Уроки Истории XX века: «Мы» и «Наши Соседи» (Турция и Южный Кавказ). Heinrich Boell Stiftung, Tbilisi, 2011, p. 61-81 (რუსულ ენაზე).

სის სახელმძღვანელოში, რომლის ავტორებიც ნატა ახმეტელი და ნიკო მურღულია არიან, არაფერია ნათქვამი თუ რატომ დაიწყო 1989 წლის აპრილის დემონსტრაციები:

1989 წლის გზაფხულზე თბილისში მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. რუსთაველის პროსპექტზე შეკრებილი მომიტინგეები აღარ იშლებოდნენ. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ. მოსკოვში გადაწყვეტილება მიიღეს, მიტინგები თბილისში ძალით დაეშალათ (ნატა ახმეტელი და ნიკო მურღულია. მსოფლიოსა და საქართველოს ისტორია, მე-12 კლასი, დიოგენე, 2008, გვ. 284-285).

სახელმძღვანელო, ასევე, არ იძლება პასუხს იმაზე, თუ როგორ მივიდა პოლიტიკური დაძაბულობა საომარ მოქმედებამდე და მოვლენათა თხრობა პირდაპირ გრძელდება 1993 წლის ამბებით:

1993 წელს უკვე დე ფაქტო დაკარგულ სამხრეთ ოსეთის რეგიონს (სამაჩაბლოს) დაემატა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც, რომელმაც რუსეთის საჯარისო დანაყოფებისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მხარდაჭერით და უშუალო დახმარებით ქართულ მხარესთან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ განყვიტა ურთიერთობა საქართველოსთან და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა მსოფლიო აღიარება ვერ მოიპოვა, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთმა... (ნატა ახმეტელი და ნიკო მურღულია... გვ.293).

თხრობის ეს სტილი მკითხველში ტოვებს განცდას, თითქოს ეთნიკურმა აფხაზებმა ომში მონაწილეობა არ მიიღეს და ის მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და დაქირავებული მებრძოლების ომი იყო. გაცილებით მონესრიგებულია უახლესი ისტორიის XII კლასის სახელმძღვანელო, რომელიც უხვსიტყვაობით და ფაქტების სიმრავლით გამოირჩევა. მას ავტორთა კოლექტივი ჰყავს. ამ შემთხვევაში, ფაქტები ქრონოლოგიურად არის დალაგებული და ავტორები ცდილობენ, არ გამოჩინონ მნიშვნელოვანი თარიღები. მოცემულ სახელმძღვანელოში ლიხნის დეკლარაცია შეფასებულია, როგორც ანტიქართული

აქტი, თუმიცა, არაფერიე ნათქვამი იმაზე, რას გულისხმობდა თავად ლიხნის დეკლარაცია და რა პოლიტიკურ პირობებში მიიღეს.

1989 წლის 4 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგი დაიწყო აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. ეს იყო რეაქცია აფხაზი სეპარატისტების მიერ ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ. მომდევნო დღეებში მიტინგი უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. მომიტინგეებმა მოითხოვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (გვანცა აბდალაძე, ნინო კვიციანიშვილი, ბონდო კუპატაძე, ქეთევან ჯანუაშვილი, უახლესი ისტორია XII, საქართველოს მაცნე, 2008, გვ.283).

ამავდროულად, სახელმძღვანელოს ავტორები უშუალოდ საქართველოს ხელისუფლების ქმედებას, რომელმაც სამხედრო დაპირისპირება გამოიწვია, აფასებენ, როგორც რუსეთის ფარულ ზრახვას, შეენარჩუნებინა სტატუს კვო რეგიონში.

საქართველოს დამოუკიდებლობის სართაშორისო აღიარების შემდეგ სახელმწიფო საბჭოსთან დაახლოებულ წრეებში განმტკიცდა აზრი, რომ აფხაზეთში საქართველოს სრული იურისდიქციის აღდგენისათვის ყველზე მოკლე გზა არის „სეპარატისტებისათვის“ ძალის ჩვენება. ავტონომიაში ცენტრის სასარგებლოდ სიტუაციის ძალისმიერი მეთოდით დარეგულირების არჩევანს პირდაპირ უბიძგა 1992 წელს რუსეთის მიერ საქართველოსათვის იარაღის დიდი პარტიის გადმოცემამ. სავარაუდოდ, რუსეთის მხარემ ეს მიზანმიმართულად მოიმოქმედა, რათა საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაფლობით შეენარჩუნებინა თავის გავლენის ბერკეტები (აბდალაძე, კუპატაძე... გვ. 104).

სკოლის სახელმძღვანელოებს ლაიტმოტივად გასდევს „ეროვნული მოძრაობის“ ჰეროიზაცია, მისი წარმომადგენლები უაპელაციოდ არიან შეფასებულნი პროგრესულ ძალებად, რომლებსაც საქართველოში შემავალი ყველა პოლიტიკური ერთეული უპირობოდ უნდა დამორჩილებოდა. კრემლისათვის უმ-

თავრეს დაპირისპირებულ ძალადაც „ეროვნული მოძრაობა“ მიჩნეული.

კრემლი რესპუბლიკებში აზვირთებული ეროვნულ მოძრაობასთან შეგუებას არ აპირებდა, ვინაიდან ის იმპერიის მთლიანობის დაშლით ემუქრებოდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ საქართველოს მისი ავტონომიური წარმონაქმნები აუმხედრა და ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აგრესიული სეპარატიზმი დაუპირისპირა... (ოთარ ჯანელიძე, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნანა ირემაშვილი, კლიო 2012, გვ. 359).

ამავე სახელმძღვანელოში სამხრეთ ოსეთში მიმდინარე საომარი დაპირისპირების მიზეზად მოყვანილია ქართული ნაციონალური სიმბოლიკის ხელყოფა ოსი ეთნოსის მიერ. ამ შემთხვევაში, რესპუბლიკის დომინანტური ნაცია ხდება მსხვერპლი მისსავე ავტონომიაში.

ქართული კულტურის ძეგლთა ხელყოფა, ქართული ტოპონიმების დამახინჯება და ოსურით შეცვლა სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების წლებში დაიწყო (ოთარ ჯანელიძე, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნანა ირემაშვილი 2012: გვ. 366).

თვისებრივად განსხვავებული და მეტ-ნაკლებად დაბალანსებული ინფორმაციაა მოცემული საქართველოს ისტორიის IX კლასის სახელმძღვანელოში, რომელსაც, ასევე, ავტორთა კოლექტივი ჰყავს. ამ სახელმძღვანელოს ღირსებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ მასში ფაქტები თანმიმდევრულადაა მოცემული, მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, დაინახოს კონფლიქტის საწყის ეტაპზე არამარტო პოლიტიკური ცენტრის თბილისის ხედვა, არამედ გაიგოს კონფლიქტის მეორე მხარის პოლიტიკური მოთხოვნებიც. ამ წიგნში, ასევე, ნაჩვენებია აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების პოზიციაც, რაც სხვა სახელმძღვანელოებში სრულიად იგნორირებულია.

1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში შეკრებილი აფხაზური ეროვნების 50-60 ათასმა ადამიანმა მოსკოვში მიმდენარე XIX პარტიულ კონფერენციისა და სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გაგზავნა პეტიცია, რომლითაც ითხოვდა აფხაზებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას. 3 აპრილს სოხუმში ჩატარდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიტინგი. გადაწყდა მეორე დღიდან მასობრივი ამოსვლების ორგანიზება თბილისში. 4 აპრილს მთავრობის სასახლესთან შეკრებილი მიმიტინგეების ლოზუნგი თავდპირველად იყო აფხაზეთის ავტონომიის გაუქმენა, მაგრამ მოგვიანებით იგი შეიცვალა კონსტიტუციური გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მოთხოვნით (გიორგი ანჩაბაძე, გელა გამყრელიძე, ზურაბ კიკნძე, მზია სურგულაძე, დიმიტრი შველიძე . საქართველოს ისტორია IX კლასი, 2008 წ., გვ. 443).

პრობლემების იდენტიფიცირება სასკოლო სახელმძღვანელოებში

- ➔ სასკოლო სახელმძღვანელოები არ შეიცავენ ერთგვაროვან ინფორმაციას. შესაბამისად, განსხვავებული წიგნით მოსარგებლე მოსწავლეებს განსხვავებული ფაქტოლოგიური ცოდნა გააჩნიათ.
- ➔ სასკოლო სახელმძღვანელოს შედგენაში გადამწყვეტია სუბიექტური ფაქტორი, ავტორების კვალიფიკაცია, რადგან უშუალოდ ტექსტზე ისინი მუშაობენ. მათი კვალიფიკაცია კონკრეტულ საკითხზე აისახება ტექსტის ხარისხზე.
- ➔ სამხრეთ ოსეთის პრობლემა სასკოლო სახელმძღვანელოებში ან სრულიად იგნორირებულია ან ნაკლებადაა წარმოდგენილი.
- ➔ მოსწავლეებს არ აქვთ შესაძლებლობა, სრულად აღიქვან სურათი, თუ რატომ დაიწყო საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

- ➔ სახელმძღვანელოებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორია სრულდება 1993 წლით.
- ➔ არაფერია დაწერილი კონფლიქტის შემდგომ მდგომარეობაზე; შეხვედრებზე, ფორმატებსა და დიალოგის პროცესზე.
- ➔ არ არის ნაჩვენები თბილისის, როგორც პოლიტიკური ცენტრის, პასუხისმგებლობა.

რეკომენდაციები სასკოლო სახელმძღვანელოებთან

- ➔ სასურველია, ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონკრეტულად მიუთითონ რომელი საკითხები უნდა იყოს მოცემული სახელმძღვანელოში, რათა არ მოხდეს მათი ფრაგმენტული ინტერპრეტაცია.
- ➔ კონფლიქტის სურათის აღსაქმელად აუცილებელია დაინეროს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ქართული ნაციონალიზმის აღზევება და, ასევე, ნაციონალიზმის ფორმირება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.
- ➔ მოსწავლეს დოკუმენტურ ნაწილში უნდა მიენოდოს არამხოლოდ ქართული პერსპექტივით დანახული კონფლიქტი, არამედ ის, რას ფიქრობდნენ აფხაზები და ოსები. როგორაა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენები აღქმული დასავლეთის მიერ.
- ➔ სასურველია, მოსწავლეებს მიენოდოთ, აგრეთვე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დასრულების შემდეგ; რა ფორმატები არსებობდა კონფლიქტების დარეგულირების? როგორ ცხოვრობენ ეს პოლიტიკური ერთეულები?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში და კონფლიქტების სწავლება

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონფლიქტების სწავლება მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ყველაზე ხშირად კონფლიქტის მონაწილეები ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ „ისტორიული სამართლიანობისათვის.“ კონფლიქტების აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ ეკონომიკურმა კრიზისმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დიდი დაღი დაასვა. ფინანსების არ ქონისა და მძიმე ეკონომიკური პრობლემების გამო ბევრმა ახალგაზრდამ უბრალოდ აღარ გააგრძელა სამეცნიერო კარიერა და საკუთარი ბედის ძიება სხვაგან სცადა. ამ ფონზე ბევრ უნივერსიტეტში დღემდე დომინანტურია პროფესურის ის ნაწილი, რომელიც კონფლიქტების დაწყების დროს „წარმოადგენდნენ საბჭოთა ბიუროკრატიულ ისტორიოგრაფიას“, იყვნენ საკუთარი „ერის ჯარისკაცები“ ისტორიული ბრძოლის ფრონტზე. ისინი აგრესიულად არიან განწყობილი თვისებრივად ახლებური კვლევების მიმართ და განსხვავებულ იდეებს ერის ღალატად მიიჩნევენ. 2015 წელს საქართველოში გამოიცა ისტორიკოსების: მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვიჩისა და დანიელ მიულერის წიგნი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“. აღნიშნული ავტორები 1937-1938 წლების რეპრესიების ანალიზისას, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აყალიბებენ თეზისს, რომ აფხაზეთი ამ დროს „დაექვემდებარა არაპროპორციულად მაღალ რეპრესიებს“. ეს ფაქტი ქართველი ისტორიკოსებისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. წიგნის ამ თავმა ძალიან დიდი დისკუსია გამოიწვია. ისინი ათეულობით წერილით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. აღნიშნულ პაექრობაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, სადაც უშუალოდ მოიძიეს საარქივო დოკუმენტე-

ბი. ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა, რომელიც აქტიურადაა წარმოდგენილი უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, „ზნეობის სასამართლო“ მოუწყო წიგნის ავტორებს და დაადანაშაულეს ისინი. მათი შეფასებით, ეს ადამიანები „იმეორებენ სეპარატისტთა გამონაგონს აფხაზეთის ნაწილის ჩრდილო კავკასიაში გადასახლების შესახებ, რომლებიც ფართოდ გულისხმობენ ისტორიულ აფხაზეთის აფსუა-აფხაზეთის დასახლების ფაქტს“.⁷

მათ, აგრეთვე, მიუთითეს, რომ „მსოფლიოში არც ერთი ისეთი სახელმწიფო არ არსებობს, რომელშიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო ენის, მისი ისტორიის, მასპინძელი ქვეყნის ძირითადი კულტურული მიღწევის არმცოდნე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი“.⁸

გამართულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ მეცნიერებს ძალიან უჭირთ განსხვავებული პერსპექტივების დანახვა. მათი გალიზიანების პარალელურად ადვილია დავინახოთ, თუ როგორი მიდგომებია ისტორიის სწავლებისას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სხვადასხვა, არასაგანმანათლებლო ინსტიტუციების ზეგავლენით ცდილობს, ხელი შეუშალოს განსხვავებული ცოდნის დაგროვებასა და არსებული დომინირებული ისტორიული ნარატივის გადახედვას.

ამ მასალას გაეცნობა არამხოლოდ ქართული საზოგადოება და მთელი მსოფლიო, არამედ მომავალი თაობა, სტუდენტები და ეს მასალა ხელს შეუწყობს გარკვეული აზრის ფორმირებას. ... მონოგრაფიაში გამოტანილია დასკვნები, რომლებიც, გვინდა თუ არა, კონკრეტული პოლიტიკის ნაწილად გვევლინება.⁹

ნუკრი გელაშვილი, შსს აკადემიის რექტორი

⁷ მარკ იუნგე, ბერნდ ბონვიჩი, დანიელ მიულერი, ეთნოსი და ტერორი საქართველოში, თბ. 2015, გვ. 167.

⁸ იქვე, გვ. 237

⁹ იქვე, გვ. 297

კონფლიქტის სწავლებისას აქტიურობს პროფესურა, რომელიც სწავლობს კონკრეტული რეგიონის ისტორიას და ისტორიული პერსპექტივით ცდილობს საკითხის შესწავლას, ისინი ხშირად არიან „ერის ჯარისკაცების“ წარმომადგენლები. მათ პარალელურად არსებობს ლექტორთა ნაწილი, რომლებიც წლების განმავლობაში იკავებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ პოზიციებს, სამსახურეობრივი შეხება ჰქონდათ კონფლიქტებთან.

სწავლება მკაცრად იდეოლოგიზირებულია. კურსის მიზანი ხშირად არ არის მეცნიერული კვლევა და მეცნიერული თეზისების დამტკიცება, სწავლება და ძიება ნაციონალური გრძნობებითაა მოტივირებული, ისტორიის სწავლების მიზანი სცდება სამეცნიერო მოტივებს და ის ერთგვარ პოლიტიკურ ტრაქტატად გვევლინება. ერთ-ერთ სილაბუსში ვკითხულობთ, რომ კურსის მსვლელობისას დიდი ადგილი „დაეთმობა აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობას, რათა აღდგეს აფხაზეთა და ქართველთა ერთობლივი ცხოვრებით და თანადგომით შექმნილი მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები“¹⁰. ისტორიის სილაბუსები აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე. თხრობა იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველყოფილი თემური წყობილების ჩამოყალიბებით და უწყვეტი ჯაჭვით გრძელდება მეოცე საუკუნემდე. ხშირია საუბარი შუასაუკუნეებში ეთნიკურ კუთვნილებასა და ეთნოკულტურულ სახეზე აფხაზეთის ტერიტორიაზე. საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები იშვიათად განსხვავდება ერთმანეთისგან. სილაბუსებში თხრობა წყდება 1993 წლით, როდესაც დასრულდა აქტიური საომარი მოქმედებების ფაზა და ეთნიკურმა ქართველებმა დატოვეს კონკრეტული გეოგრაფიული არეალი.

მსგავსი ნაციონალისტური სილაბუსების გარდა არსებობს სილაბუსები, რომლებიც უფრო მეტად ყურადღებას უთმობ-

¹⁰ ჯამბულ ანჩაბაძეს სილაბუსი აფხაზეთის ისტორიაში, მომზადებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის

ბენ1993 წლის შემდგომ მიმდინარე ეთნიკურ ურთიერთობებს და პოლიტიკას. ისტორია, ამ შემთხვევაში, გამოიყენება, როგორც კონფლიქტის საწყისის ჩვენების საშუალება. მსგავსი კურსები სტუდენტებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული და მსმენელს საშუალება ექნება, კურსის მსვლელობისას შეისწავლოს „კონფლიქტის წარმოშობისა და მოგვარების პროცესში გარე და შიდა ფაქტორების ურთიერთქმედება. დაინახოს კონფლიქტის გავლენა რეგიონში და ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებაზე. გაეცნოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჩართულ საერთაშორისო, ადგილობრივ და არასახელმწიფო ორგანიზაციებს, პერსპექტივებსა და არარეალიზებულ შესაძლებლობებს, შეცდომებისა და მიღწევების განხილვასა და ანალიზს.“¹¹

ზოგადად, საქართველოში კონფლიქტები თითქმის არ ისწავლება და თუ ისწავლება, სილაბუსები უფრო კონფლიქტების ფსიქოლოგიურ და გეო-პოლიტიკურ ასპექტებს მოიცავს, ვიდრე პოლიტიკურ და სოციალურს.

პრობლემების კლასიფიკაცია

- ➔ სილაბუსები არ მოიცავენ ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და ნაციონალურ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობამ განაპირობა კონფლიქტები.
- ➔ ნაკლები ყურადღება ექცევა სამხრეთ ოსეთის საკითხს, რჩება განცდა, რომ ის „მეორეული მნიშვნელობისაა“.
- ➔ 1993 წლის შემდგომი პერიოდი განიხილება როგორც მხოლოდ კონფლიქტის დარეგულირების მცდელობა.
- ➔ არ განიხილება სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, რომელშიც იმყოფებიან ოკუპირებული ტერიტორიები.

¹¹ ლევან გერამის სილაბუსი, მომზადებული კავკასიის უნივერსიტეტში.

- ➔ ხშირად ლექტორები არ არიან მეცნიერები, რომელთათვისაც კონკრეტული საკითხი მეცნიერული შესწავლის ინტერესს შეადგენს.
- ➔ საკითხის შესასწავლად ძალიან მცირე სამეცნიერო ლიტერატურა და დოკუმენტური ბაზაა.
- ➔ ნაკლებად ისწავლება სხვა სახის კონფლიქტები.
- ➔ დეფიციტია განსხვავებული ხედვებისა და პერსპექტივების მხრივაც.

რეკომენდაციები

- ➔ სასურველია, სილაბუსები სრულად მოიცავდნენ კონფლიქტურ რეგიონებს.
- ➔ აუცილებელია, 1993 წლის შემდგომი პერიოდში განვითარებული პოლიტიკური პროცესები აქტიურად იქნას შესწავლილი და მიწოდებული სტუდენტებისათვის.
- ➔ ასევე, აქტიურად უნდა ისწავლებოდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესები.
- ➔ საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც კრიტიკულად გაიაზრებს რეალობას.
- ➔ უნდა ნახალისდეს ახლებური და განსხვავებული ხედვები.
- ➔ კონფლიქტების შემსწავლელ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში უნდა შეიქმნას სპეციალური საარქივო მასალა, რომელიც თავს მოუყრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთი საკითხებს.
- ➔ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში უნდა დაარსდეს 90-იან წლებსა და მის შემდგომ პერიოდში გამოცემული გაზეთების ფონდი, სადაც შეძლებისდაგვარად განთავსდება კონფლიქტურ რეგიონებში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები თუ წიგნები.
- ➔ კონფლიქტის ანალიზისა და მშვიდობიანი მოგვარების შესაბამისი სილაბუსის შექმნისას აუცილებელია ევროპულ საუნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

არასამთავრობო საქტორი და მედია

არასამთავრობო ორგანიზაციები კონფლიქტურ რეგიონებს აქტიურად სწავლობენ. რამდენიმე მათგანი საკუთარ საქმიანობაში სრულად არის ამ საკითხზე კონცენტრირებული. საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერთად, ზუსტად ამ სექტორმა აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და პირველი იყო, ვინც დაიწყო ახალი ხედვებისა და კონფლიქტის დარეგულირების გზების შეთავაზება როგორც საკუთრი მთავრობის, ასევე, აფხაზური და ოსური მხარეებისადმი. განსხვავებით საუნივერსიტეტო და სასკოლო განათლებისგან, არასამთავრობო სექტორი, ასევე, აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და დიალოგებში. მათი ცოდნა კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესების შესახებ თვისობრივად აღემატება სხვებისას.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ პირველნი, რომელთაც შექმნეს ერთობლივი თანამშრომლობის მაგალითები. ისინი აქტიურად მუშაობენ რამდენიმე კუთხით. უპირველესად, ეს არის მშვიდობის, როგორც ღირებულებითი კატეგორიის, კვლევა და მისი ლობიერება, მიმდინარე პროცესების შედარებითი ანალიზი, დემოკრატიული რეფორმები. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ასევე ცდილობს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე კომენტირებას.

აღნიშნულ უპირატესობასთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციებს გააჩნიათ რამდენიმე პრობლემა. შეზღუდული ფინანსური რესურსები გამო ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, რომ ჩაატარონ ხანგრძლივადიანი კვლევები. ფინანსური არამდგრადობიდან გამომდინარე, ანალიტკოსები ტოვებენ არასამთავრობო სექტორს და სხვა სფეროში ინაცვლებენ. ამავე მიზეზით ორგანიზაციებს უჭირთ გრძელვადიანი კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა. ისინი იძულებულნი არიან, საკუთარი პრიორიტეტები მოარგონ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის კრიტერიუმებს. ეს კი განაპირობებს მათი

კვლევების ზიგზაგურობას.

არასამთავრობო სექტორი განიცდის ინფორმაციის ნაკლებობასაც. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე კონფლიქტებს მხოლოდ რამდენიმე მედიანყარო აშუქებს. ძირითადად, ინტერნეტგამოცემა Netgazeti.ge; Jam-news.net; Civil.ge; Accent.com.ge .¹² საქართველოს მოქალაქეებისა და მკვლევართა მცდელობა, გაიგონ თუ რა პროცესები მიმდინარეობს კონფლიქტურ ზონებში, შემოიფარგლება მხოლოდ უცხოენოვანი მედია საშუალებების გაცნობით. ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავად ჩავიდნენ კონფლიქტის ზონაში და ჩაატარონ კვლევები. მსგავსი პრობლემები თვისებრივ გავლენას ახდენს კვლევის ხარისხზე. მათი კონტაქტები და მონაწილეობა სხვადასხვა დიალოგის ფორმატში შეზღუდულია. იგი კონფლიქტის მხარეთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფთან დისკუსიას გულისხმობს.

პრობლემების იდენტიფიკაცია

- ➔ არ არსებობს სისტემურად გამართული, ინსტიტუციურად ძლიერი კვლევითი ცენტრი, რომელიც შეისწავლის არამართო საქართველოში არსებულ კონფლიქტებს, არამედ რეგიონში, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს კონფლიქტების მიმართულებით.
- ➔ არასტაბილური ფინანსური წყაროები განაპირობებს ანალიტიკოსთა მიგრაციას და კრიტიკული ინტელექტუალური რესურსის ნაკლებობის უქონლობას.
- ➔ არასამთავრობო სექტორი თავად ვერ განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტებს და ისინი მორგეულნი არიან დონორთა პრიორიტეტებზე.

¹² რატომ იკლებს ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტების მიმართ ინტერესი? 12/06/2017.

- ➔ არასაკმარისი ინფორმაცია მათ კვლევებს ხარისხს უკარგავს.
- ➔ არასაკმარისადაა შესწავლილი კონფლიქტურ ზონებში მიმდინარე პროცესები 1993 წლის შემდეგ.

რეკომენდაციები

- ➔ შესაძლებელია შეიქმნას თემატურად დაყოფილი ონლაინ საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის აქტუალურ ინფორმაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.
- ➔ სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით (და არა კონტროლით !) უნდა გააქტიურდეს კვლევები იმ მიმართულებით, თუ რა ვითარებაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.
- ➔ დონორმა ორგანიზაციებმა ინსტიტუციურად უნდა წაახალისონ ის ორგანიზაციები, რომლებიც კვლევებზე მუშაობენ.

შეჯამება

ჩვენ მიერ განხილულმა სამმა სფერომ გამოავლინა, რომ საქართველოში კონფლიქტები ფრაგმენტულად შეისწავლება და ის ინსტიტუციურ ხასიათს არ ატარებს. ამასთანავე, ნაკლებია კომუნიკაცია სამეცნიერო საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს შორის. კვლევებში არსებული დოკუმენტური ბაზა კრიტიკას ვერ უძლებს. არ ხდება ახალი წყაროების გამოვლენა. სხვადასხვა უნივერსიტეტებში კონფლიქტების სწავლება პერსონიფიცირებულია და არ არის ინსტიტუციური პრიორიტეტი. ლექტორის წასვლასთან ერთად ეჭვქვეშ დგება არამარტო საგნის სწავლების პრობლემა, არამედ მიმართულების არსებობის საკითხიც. სახელმწიფო ინსტიტუციები არ არიან დაინტერესებულნი, მოახდინონ ინვესტირება განსხვავებულ კვლევებში და ხელი შეუწყონ მეცნიერებაზე/კვლევებზე დამყარებულ პოლიტიკას. სახელმწიფო არ აფინანსებს კვლევებს და საერთაშორისო ორგანიზაციების იმედაა. არ არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც იზრუნებს, თავი მოუყაროს კონფლიქტის შესახებ არსებულ უმნიშვნელოვანეს მასალებს და მკვლევართათვის შექმნას ინფორმაციული ბაზა. პრაქტიკულად უცნობია ლიტერატურა, რომელიც იბეჭდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსში. ასევე, არავინ სწავლობს სიტუაციას, რომელიც 1993 წლის შემდეგ კონფლიქტის რეგიონებში ჩამოყალიბდა. სრულიად უცნობია ის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო, რომლებშიც დღეს ეს რეგიონები იმყოფება.

WHAT WE KNOW AND WHAT WE LEARN ABOUT CONFLICTS

Davit Jishkariani - historian

FOREWORD

